



## ეთნიკური კონფლიქტის თემა თურქულენოვანი ქურთი მწერლების შემოქმედებაში

### შესავალი

თურქეთის, მეტწილად ქურთებით დასახლებულ სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომელთა ფესვებიც ბევრად უფრო ადრეული ეპოქიდან იღებს სათავეს ვიდრე ქურთისტანის მუშათა პარტიის გააქტიურებაა, დიდი გავლენა მოახდინა თურქეთში მოღვაწე, ეროვნებით ქურთი მწერლების შემოქმედებაზე. თურქეთში, ენობრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, მართალია ყოველთვის არსებობდნენ ლიტერატორები, რომლებიც, აკრძალვების მიუხედავად, ცდილობდნენ ქურთულად ეწერათ, მაგრამ პარალელურად, შეიქმნა მწერლების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომლებიც, მიუხედავად ქურთული იდენტობისა და გამოყენებული თემატიკისა, თურქულად წერდნენ.

თუმცა, თურქულად წერა, როგორც წესი, ამ მწერლების მშობლიური სოციალური და პოლიტიკური გარემოდან მოწყვეტას არ ნიშნავდა. მათი დიდი ნაწილი აგრძელებდა რეგიონის სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე მუშაობას, ხოლო ნაწილი, მიუხედავად იმ შესაძლო შედეგებისა, რაც მათ ამ ნაბიჯებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რეგიონში არსებული ეთნიკური დაპირისპირების შესახებაც წერდა.

ქურთისტანის მუშათა პარტიის გამოჩენა, ეთნიკურ ქურთებს და თურქებს შორის არსებული ურთიერთობების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. მართალია, თურქულ საზოგადოებაში ქურთებთან დაკავშირებული გარკვეული უარყოფითი სტერეოტიპები ყოველთვის არსებობდა, რომლებიც გარკვეულ სიტუაციებში ვითარების დამაბვასაც იწვევდა, მაგრამ მრავალწლიანი შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებამ და ქურთების ქვეყნის დიდ ქალაქებში ნებაყოფლობითმა თუ იძულებითმა მიგრაციამ, ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობების გაღრმავებასთან ერთად, ბევრი პრობლემაც შექმნა.<sup>1</sup> პრობლემურმა

<sup>1</sup> მიუხედავად თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკისა, რომელიც ოფიციალურად ქურთების არსებობას უარყოფდა, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, თურქეთის პოლიტიკური წრეები ქურთების არსებობის ფაქტს ყოველთვის აღიარებდნენ. მაგალითად ცნობილი 49-ის პროცესამდე მიმავალი მოვლენების ჯაჭვი, სწორედ ერაყის ქალაქ კირკუკში, თურქმენებს და ქურთებს შორის დაპირისპირებაზე თურქების მიერ გამოხატული რეაქციით დაიწყო და სახალხო რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი დეპუტატის ასიმ ერენის მეჯლისის ტრიბუნაზე გამოთქმული წინადადება, რომ ერაყელი ქურთებისათვის სამაგიეროს გადახდის მიზნით, ქურთი ეროვნების თურქეთის მოქალაქეებზე თავდასხმა იყო საჭირო, ერთგვარ კატალიზატორად იქცა, რასაც ქურთების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

ურთიერთობამ, რომელიც საბოლოოდ შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების საფუძვლად იქცა, ქურთულ და თურქულ ლიტერატურაშიც ჰპოვა. ამ ნაკადში აღმოჩენილ მწერლებს შორის არიან იაშარ ქემალი, მეთინ აქთაში, შეიჰმუს დიქენი, ქემალ ვაროლი, ჰაიდარ ქარათაში, მუჰსინ ქიზილქაია და სხვები. თურქულ ენაზე წერა როგორც წესი, განსხვავებით თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის ადრეული პერიოდისა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქურთული იდენტობის უარყოფას არ გულისხმობდა და შესაბამისად, თურქულენოვანი ან ორენოვანი ქურთი მწერლების თურქულ ენაზე შექმნილ არაერთ ნაწარმოებში, ქურთებით დასახლებული რეგიონების სოციალური და პოლიტიკური პრობლემები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ.

გარდა თურქულენოვანი ქურთი მწერლებისა, ეთნიკური კონფლიქტის თემას, თურქეთის სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიისაგან განსხვავებული და ზოგიერთ შემთხვევაში, ქურთულ პოზიციასთან მიახლოებული თვალთახედვით უყურებდა არაერთი, მეტწილად მემარცხენე შეხედულებების მქონე თურქი მწერალიც. მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ ქემალ ბილბაშარის რომანები „ჯემო“ და „მემო“ და მეჰმეთ ეროღლუს ტრილოგია „უფსკრული“, რომლებიც, მეტწილად სოციალური და კლასობრივი ჭრილიდან უდგებიან ეთნიკურ საკითხს და ეროვნულთან ერთად, ეკონომიკურ ფაქტორებზეც ამახვილებენ ყურადღებას.

მწერლების ბოლო კატეგორია, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, არის თურქი მწერლების ის კატეგორია, რომლებიც, კონფლიქტს ეთნიკური ფაქტორის გარეშე, ოფიციალური პერსპექტივიდან უყურებენ და საკითხს, იმპერიალისტური ძალების მიერ წაქეზებულ საბოტაჟად ან უბრალო ტერორიზმად მიიჩნევენ. ამ მხრივ, საინტერესო მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ ბარბაროს ბაიქარას რომანები, რომლებიც აშკარად პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებენ და თურქეთის ქურთებით დასახლებულ რეგიონებში მომხდარი პოლიტიკური გამოსვლები და ამბოხებები მათში, მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალების მიერ ინსპირირებულ მოვლენებადაა წარმოჩენილი.<sup>2</sup> საინტერესო მაგალითია ასევე, უშუალოდ ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ჰაკან ევრენსელის ნაწარმოებებიც, რომლებიც, საბრძოლო მოქმედებებს თურქეთის არმიის პერსპექტივიდან აღწერენ და მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენენ იმ კუთხითაც, რომ მათში ღიად პოლიტიკურ მესიჯებს ნაკლებად ვხვდებით და აშკარად ჩანს, რომ ავტორის მიზანი მოვლენების, იდეოლოგიური გავლენების მინიმალურ დონეზე დაყვანით, ჯარისკაცის პერსპექტივიდან აღწერაა.

## ქურთული პერსპექტივა

---

<sup>2</sup> ბარბაროს ბაიქარას რომანის - „დერსიმი: 1937“, კრიტიკული რეზიუმესთვის იხ: Fethi Demir – Karşıt Tezleri Savunan Politik Romanlar Bağlamında Dersim 1938 Olayları, Turkish Studies- International Periodical For The Languages, Literature and History of Turkish or Turkic, Vol: 9/12, Fall,2014, გვ.156-160

თურქეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ქურთული მოსახლეობის მიმართ მეტწილად ასიმილაციონისტური იყო.<sup>3</sup> ხოლო რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში მომხდარი, მეტწილად ტრადიციული ქურთული ელიტების მიერ მართული ამბოხებების სასტიკად ჩახშობამ ქურთულ ეროვნულ ნარატივში მკაფიო კვალი დატოვა და თურქეთის მოქალაქე ქურთების დიდი ნაწილის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ტრავმა დატოვა, რამაც ასახვა ლიტერატურაშიც ჰპოვა. რადგანაც სტატიის თემა თურქულ(ენოვანი) ლიტერატურაა, ქურთულ ლიტერატურას, რომელიც ფართოდ მიმოიხილავს ამ საკითხებს, არ შევხებით და მხოლოდ თურქულენოვანი ქურთი მწერლების ნაწარმოებებით შემოვიფარგლებით.

სტატიის ამ ნაწილისათვის, სამი ნაწარმოები შევარჩიე, ქემალ ვაროლის რომანი - „ჰავ!“ (Haw!), როგორც ნაწარმოები, სადაც 1990-იან წლებში მომხდარი მოვლენები, საკმაოდ ორიგინალური ფორმით, ძაღლის თვალთახედვითაა მოთხრობილი და პოლიტიკური მესიჯი პროპაგანდისტული კონტექსტის მაგივრად, შინაარსის ნაწილადაა მოაზრებული. მუნზურ ჩემის რომანი „პურიც კი დაწვეს“ (Ekmeği de Yaktılar), როგორც რომანი, რომელშიც პოლიტიკური და პროპაგანდისტული მხარეც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს და მოგვითხრობს ერთი სოფლის ისტორიას 1980 წლიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე და სუზან სამანჯის რომანი „შიშის მდინარეში“ (Korkunun Irmağında), სადაც მწერალი, მიუხედავად მისი პოლიტიკური სიმპატიებისა, ცდილობს პერსონაჟების ფსიქოლოგიურ მხარეზე და განცდებზე კონცენტრირებით მოგვითხროს 1990-იანი წლების დიარბაქირის რეპრესიული და სულის შემხუთველი გარემოს თაობაზე.

დიარბაქირელი მწერლის, ქემალ ვაროლის ნაწარმოებები, თემატიკასთან ერთად იმითაც არის გამორჩეული, რომ მათში, თურქეთის სახელმწიფოს და ქურთისტანის მუშათა პარტიას შორის მიმდინარე კონფლიქტის ფოლკლორული მხარის და რეზონანსული მოვლენების ახლებულ, ფიქციონალიზებულ აღწერებსაც ხშირად ვხვდებით. ამის მაგალითია მის რომანში „გზის ბოლოს სიკვდილია“ (Ucunda Ölüm Var), ქურთულ კულტურასთან ასოცირებული ფიგურის - დამტირებელი ქალის, ოფიცერ ილტერიშის სატირალზე გამოძახების ამბავი. ილტერიშის ისტორია, თავისი ფინალით - ავტობუსში ჩადენილი მკვლელობის სცენით, თითქმის იმეორებს ქურთული მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილის მქონე ფიგურის - 1980-იან წლებში დიარბაქირის ციხის კომენდანტის, სისასტიკით ცნობილი ესათ ოქთაი ილდირანის ისტორიას.<sup>4</sup> მათ შორის ცნობილ ფრაზასაც, რომელიც მკვლელმა ილდირანს იარაღის სასხლეტის გამოკვრის წინ უთხრა.<sup>5</sup>

<sup>3</sup> იხ: [Restrictions on Kurdish Language](#), Human Rights Watch, 1999 Turkey Report; Mesut Yeğen - "Prospective-Turks" or "Pseudo-Citizens:" Kurds in Turkey, Middle East Journal, Vol. 63, No. 4 (Autumn, 2009), გვ. 597-615

<sup>4</sup> Kemal Varol – Ucunda Ölüm Var, İletişim Yayınları, İstanbul, 2017, გვ.117-127

<sup>5</sup> „ლაზი ქემალი სალამს გითვლის!“; ლაზი ქემალი ქურთისტანის მუშათა პარტიის ერთერთი დამაარსებლის - ქემალ ფირის მეტსახელი იყო, რომელიც შავიზღვისპირეთიდან იყო. ესათ ოქთაი ილდირანის შესახებ იხ: Aysel Sağır - [Laz Kemal'in sana selamı var!](#), T24, 20 მაისი, 2015; [Yıldırım'ın işkenceleri PKK'nın temelini attı](#), Sabah, 22 აგვისტო, 2009

„ჰავ!“-ის მოქმედებაც, როგორც ქემალ ვაროლის დანარჩენი რომანების უმეტესობაში, დიარბაქირის პროვინციაში, ქალაქ ერგანიში ვითარდება, რომელიც ავტორის ნაწარმოებებში არკანიად არის ქცეული. მთავარ პერსონაჟად სასაფლაოზე მცხოვრები ანთროპომორფული ძალის გვევლინება. ნაწარმოებში, კონფლიქტის 1990-იან წლებში მიმდინარე ფაზასთან ასოცირებული არაერთი ტრაგიკული მოვლენის ლიტერატურულ ასახვას ვხვდებით. აქ ერთიანად ვაწყდებით სასაფლაოზე ღამით, ჩუმად დაკრძალულ ცხედრებს,<sup>6</sup> პოლიტიკურ მკვლევლობებსა და გაუჩინარებებს,<sup>8</sup> სიღარიბეს და სოციალურ პრობლემებს, და იმ პერიოდის პოლიტიკური ატმოსფეროს გამოძახილებს. საინტერესოა პოლიტიკური სიმბოლიზმიც, მაგალითად, მთავარი პერსონაჟის ტრფობის ობიექტი, დედალი ძალის მელსა, უსახელო პარტიის რეგიონული ორგანიზაციის შენობის შესასვლელს იცავს, პარტიაში კი, გათვიცნობიერებული მკითხველი იოლად ამოიცნობს თურქეთის ქურთულ მოძრაობასთან ასოცირებულ ნებისმიერ პარტიას. რომანის, ისევე როგორც ზოგადად ქემალ ვაროლის სხვა ნაწარმოებების კიდევ ერთი დამახასიათებელი დეტალი, მოქმედების ადგილის ფიქციონალიზაციაა, რომელიც რომანის, პოლიტიკური სიმბოლიზმის შედარებით უკანა პლანზე გადაწევას ისახავს მიზნად. მაგალითად, თურქები და ქურთები ყოველთვის ჩრდილოელებად და სამხრეთელებად მოიხსენიებიან.<sup>9</sup> ხოლო მათდამი მიკუთვნებული ნივთები, სიმბოლოები და დღესასწაულები „ჩრდილოელთა“ ან „სამხრეთელთა“ კუთვნილად. მწერალი, საკმაოდ ხშირად, პოლიტიკური და ისტორიული მოვლენების აღსაწერად სიმბოლიზმს მიმართავს და ამგვარად, ძალის პოზიციიდან მოთხრობილი ამბავში ბევრი რამ ადამიანურია. მაგალითად, ჯარისკაცების მიერ მელსას გატაცება, სხვა არაფერია თუ არა იმ პერიოდში საკმაოდ გავრცელებულ, მეტწილად ქურთი პოლიტიკოსების და აქტივისტების გაუჩინარებების ალუზია. რომანში ვხვდებით ასევე ისტორიულ მოვლენებსაც, მაგალითად 1993 წლის დროებით ზავს.<sup>10</sup>

მთავარი პერსონაჟი, რომანის დასაწყისში ჩვეულებრივი ქუჩის ძალისა, რომელიც მოგვიანებით, საგანგებო წვრთვნას გადის და ჯარისკაცებთან ერთად იწყებს სამსახურს, როგორც მამებარი ძალის, რომლის მოვალეობაც საბრძოლო მასალის და ნაღმების ძებნაა. და ამ პროცესში, იგი რეგიონში მიმდინარე არაერთი მოვლენის უშუალო მომსწრე ხდება. მიუხედავად მწერლის მცდელობისა, მოვლენები ძალის პერსპექტივიდან აღწეროს, საკმაოდ ხშირად აშკარაა, რომ პერსონაჟი და მისი მეგობარი ძალები მეტისმეტად „ადამიანები“ არიან. ამის მიუხედავად, მწერალი ახერხებს მოვლენების ისე წარმოჩენას, რომ პოლიტიკური მესიჯი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, არ იქცევა ნაწარმოების ერთადერთ თემად და სიუჟეტის ნაწილად რჩება, ამგვარად, რომანი, არ შეიძლება პარტიულ/პროპაგანდისტულ ლიტერატურად შეფასდეს და მეტწილად მწერლის განცდილის მხატვრული ასახვის მცდელობაა.

<sup>6</sup> Kemal Varol – Haw, İletişim Yayınları, İstanbul, 2014, გვ.32

<sup>7</sup> 1980-1990-იან წლებში, მეტწილად პოლიტიკური მოტივით დაკავებული და „გაუჩინარებული“ პირების უპატრონოთა სასაფლაოებზე და უდაბურ ადგილებში დაკრძალვა გავრცელებული პრაქტიკა იყო. იხ: [Rıdvan Karakoç ve Hasan Ocak, mücadelenin 25. yılında mezarları başında anıldı](#), Evrensel, 19 მაისი, 2020, [“Ayşenur Şimşek İçin Adalet İstemekten Vazgeçmeyeceğiz”](#), Bianet, 3 თებერვალი, 2018

<sup>8</sup> მაგალითისთვის იხ: Varol, 2014, გვ.167

<sup>9</sup> იქვე, გვ. 67, 70

<sup>10</sup> იქვე, გვ. 81

ქემალ ვაროლისგან განსხვავებით, პოლიტიკურად განსხვავებულ გზას ირჩევს მუნზურ ჩემი, რომლის რომანი - „პურიც კი დაწვეს“ არც ცდილობს მოვლენების ფიქციონალიზაციას და დოკუმენტურ სტილს ირჩევს. პოლიტიკური ორგანიზაციების, ლიდერების, გეოგრაფიული ადგილების სახელები უცვლელად მოიხსენიება; ასევე ღიაა ყველა სახის მინიშნებები სხვადასხვა ისტორიული მოვლენების მიმართაც. ამავე დროს, ნაწარმოებში აშკარად ჩანს, რომ ავტორი, საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით მოქმედებს და არ ცდილობს ნეიტრალური იყოს ან მოვლენებს მესამე პირის პოზიციიდან უყუროს. რომანის მოქმედება 1980-იანი წლების დასაწყისიდან, 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებიდან იწყება და მთავარ პერსონაჟად დიარბაქირის პროვინციაში, ქულფში მცხოვრები სერდარი გვევლინება, რომელიც რომანის სიუჟეტის მსვლელობისას, არაერთ პროფესიას იცვლის და სხვადასხვა პერიოდში ლიბიაში „გასტარბაიტერად“, ავტობუსის მძღოლად და საერთაშორისო გადაზიდვებზე მომუშავე ტრაილერის მძღოლად მუშაობს. სწორედ ერაცში მუშაობის პერიოდში, ცენტრალურ ხელისუფლებას და ერაცელს ქურთებს შორის კონფლიქტის გამწვავებასთან ერთად, სერდარშიც ქურთული თვითშეგნება იწყებს გამოვლინებას. 1990 წლიდან კი სერდარი უკვე ქურთისტანის მუშათა პარტიისათვის იწყებს მუშაობას. ავტორის მიერ გამოყენებული სტილი, ღია სიმპათია ქურთისტანის მუშათა პარტიის მიმართ და რევოლუციური და მარქსისტულ-ლენინისტური რიტორიკის გამოყენება, პირველ რიგში საბჭოთა პერიოდის რომანებს გვაგონებს რევოლუციაზე. სერდარის პიროვნება, მისი თანდათანობითი გამოვლინება და ქურთული იდენტობის გათავისება, დაბრკოლებების წინააღმდეგ თავდადება - მაგალითად, პატიმრობისას, მიუხედავად მის წინააღმდეგ არსებული სამხილებისა, ყოველთვის უარს აცხადებს პარტიული ამხანაგების გაცემაზე, გულწრფელად სჯერა იმისი, რომ ქურთისტანის მუშათა პარტიის გამარჯვება ახლოსაა და ამგვარად, ერთგვარ კორჩაგინისეულ ფიგურად გვევლინება.

რომანში ასევე ვხვდებით ისტორიულ ფაქტებსაც, როგორებიცაა 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება,<sup>11</sup> სახალხო ლეიბორისტული პარტიის დიარბაქირის ორგანიზაციის თავმჯდომარის ვედათ აიდინის მკვლელობას და შემდგომ მოვლენებს, რომლებსაც ქურთული მოძრაობის ისტორიაზე დიდი გავლენა ჰქონდათ,<sup>12</sup> თურქეთის მეჯლისში ფიცის დადების ცერემონიაზე, რამდენიმე დეპუტატის მიერ ქურთულ ენაზე ფიცის წარმოთქმასთან დაკავშირებულ ინციდენტს,<sup>13</sup> პრეზიდენტ თურგუთ ოზალის გარდაცვალებას და მასთან დაკავშირებულ შეთქმულების თეორიებს<sup>14</sup> და 1990-იან წლებში, ქურთებით დასახლებულ რეგიონებში სოფლების გადაწვის და მოსახლეობის აყრის ფაქტებს.<sup>15</sup> სიმბოლურია, რომ რომანის ბოლოს მისი მთავარი პერსონაჟი, რომანის ავტორის და ასევე ბევრი პოლიტიკურად აქტიური ქურთის მსგავსად, იძულებული ხდება სამშობლო დატოვოს და გერმანიაში გადაიხვეწოს.

<sup>11</sup> Munzur Çem – Ekmegi de Yaktilar, Deng Yayinlari, İstanbul, 2010

<sup>12</sup> იქვე, გვ. 135-138

<sup>13</sup> იქვე, გვ. 201

<sup>14</sup> იქვე, გვ. 323-324

<sup>15</sup> მაგალითად, 1997 წლის ოფიციალური მონაცემებით, დაცარიელებული დასახლებული პუნქტების რაოდენობა 3428-ს შეადგენდა, ხოლო გადასახლებულთა რაოდენობა 378 000-ს. იხ: [TBMM, 532 Sayılı Rapor, 14.01.1998.](#)

რომანი ასევე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი აქტიურად იყენებს ქურთისტანის მუშათა პარტიის ჟარგონს, მაგალითად, დიარბაქირი მოიხსენიება როგორც „დედაქალაქი“ და ა.შ. ასევე, ადგილ-ადგილ ვხვდებით მცდელობებს, ქურთისტანის მუშათა პარტიის ის მოქმედებები, რომლებმაც თავის დროზე დიდი რეაქცია გამოიწვიეს და დღემდე ბოლომდე გამოუძიებელია, მათი პერსპექტივიდან იქნეს მოთხრობილი. ასეთ მაგალითს ვხვდებით 1993 წლის ბინგოლ-ელაზილის გზაზე მომხდარი ინციდენტის აღწერასთან დაკავშირებით - 1993 წლის 2 ივლისს, ქურთისტანის მუშათა პარტიამ მოკლა 33 თურქი ჯარისკაცი, რომლებიც უიარაღოდ, სამოქალაქო ავტობუსით მიემართებოდნენ სამხედრო ნაწილისაკენ სადაც სამხედრო სამსახური უნდა გაეყოლიათ.<sup>16</sup> ასევე წიგნში ვხვდებით თურქულ პროპაგანდასთან დაკავშირებულ საკითხებსაც, მაგალითად, გამოცემაში, ჯარისკაცები პერსონაჟებს სომხებთან კავშირში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ქურთისტანის მუშათა პარტია, რეალურად არა ქურთული, არამედ სომხური ორგანიზაციაა.<sup>17</sup> რაც, განსაკუთრებით ულტრამემარჯვენე და ისლამისტურ თურქულ მედიაში, დღემდე საკმაოდ პოპულარული პროპაგანდაა.<sup>18</sup> საბოლოო ჯამში, მუნზურ ჩემის რომანი, საბჭოთა, სოციალისტურ-რეალისტური, რევოლუციური რომანების ერთგვარ ქურთულ ვერსიად შეგვიძლია მივიჩნიოთ. მისი თურქულ ენაზე დაწერის მიზეზი კი, სავარაუდოდ ის იყო, რომ ავტორი წიგნის აუდიტორიად პირველ რიგში თურქულ ენაზე განათლება მიღებულ, ქალაქელ ქურთებს მოიაზრებდა - 1997 წელს, რომანის გამოცემის წელს, ქურთული ლიტერატურა კვლავ მეტწილად დიასპორული იყო, ხოლო თურქეთის შიგნით ქურთული საგამომცემლო სექტორი ჩანასახის სტადიაზე იყო. და საბოლოოდ, ვხედავთ, რომ მწერლის მიზანი მხატვრულ ნაწარმოებზე მეტად, იდეოლოგიის სამსახური იყო და მიუხედავად საკმაოდ ბევრი აქტუალური პრობლემისა, რომელიც რომანშია განხილული, საბოლოოდ, წინა პლანზე ნაწარმოების არა მხატვრული, არამედ პოლიტიკური მხარე გამოდის.

ჩვენი თემის მესამე რომანი - სუზან სამანჯის „შიშის მდინარეში“, თემატურად მუნზურ ჩემის რომანთან ახლოს დგას, თუმცა, მხატვრული და პოლიტიკური კუთხით, მწერლების პოზიციებში არსებული მსგავსებების მიუხედავად, ბევრად ნაკლებად არის იდეოლოგიზებული და მწერალი ცდილობს, იგივე პრობლემებს განსხვავებულად და უფრო ლიტერატურულად შეხედოს. წინამდებარე რომანშიც მოქმედება დიარბაქირში ვითარდება და ოთხი ამხანაგის ისტორიას მოგვითხრობს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის ყველაზე მძიმე პერიოდში - 1990-იან წლებში „დედაქალაქში“ ცხოვრობდნენ. რომანი, პოლიტიკურად აქტიური ოთხი ქალის - უსახელო მთავარი პერსონაჟის და მისი მეგობრების ციხიდან გათავისუფლებით იწყება და ისინი აღმოაჩენენ, რომ ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც მუშაობდნენ, დახურული და დალუქულია. ამგვარად, რომანს კიდევ ერთი მხარეც ემატება - პატრიარქალურ

<sup>16</sup> Çem, 2010, გვ. 334-339

<sup>17</sup> იქვე, გვ. 295, 296, 300

<sup>18</sup> ამის სავარაუდო მიზეზად შეგვიძლია იმ პრობლემების გადაფარვის მცდელობა მივიჩნიოთ, რომლებსაც ორ მუსლიმ ხალხს შორის შეიარაღებულ შეტაკებას ახლავს, როგორც თეოლოგიური კუთხით, ისე პოლიტიკურად. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთში, ეროვნული იდენტობის საშენ მასალას ისლამი იქნა აღებული. ამ ტიპის პროპაგანდის მაგალითებისთვის იხ: [ASİMED Başkanı Eğilmez: “ASALA-PKK ittifakı halen devam ediyor”](#) “Sözde Ermeni meselesi için kurulmuş yapılanmada Ermeni yok, tabur içinde faaliyet gösteren kadın teröristler yer alıyor”; HaberTürk, 16.05.2020; Ömer Altıntop - [PKK Gerçeği ve Kürt Sorunu](#); Vedat Yenerer - [PKK İçindeki Gizli Ermeni Örgütlenmesi Maşalar ve Piyonlar](#).

საზოგადოებაში პოლიტიკურად აქტიური ქალების თემა. რომანში ხშირად ვხვდებით ისეთ თემებს, როგორცაა თურქული სახელმწიფოს პოზიციები ქურთების მიმართ, გაუხსნელ მკვლელობებს, რომლებმაც 1990-იან წლებში თურქეთის ქურთული რეგიონები მოიცვა, შეიარაღებულ შეტაკებებს, პატრიარქატს და სხვა პრობლემებს, რომელთა დიდი ნაწილიც დღემდე აქტუალურია. განსხვავებით მუნზურ ჩემისაგან, სუზან სამანჯი, მიუხედავად იმისა, რომ ღიად აფიქსირებს თავის პოზიციებს, თხრობის ლიტერატურულ სტილს ამჯობინებს და შესაბამისად, „შიშის მდინარეებშიც“, მართალია ვხვდებით ქურთული მოძრაობისათვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას, მაგრამ მოქმედი პოლიტიკოსების, პარტიების და სხვათა სახელები თითქმის არ გამოიყენება.

ასე მაგალითად, თურქი ჯარისკაცები მოიხსენიებიან, როგორც რომაელები,<sup>1920</sup> სასოფლო მილიცია როგორც „ჯაში“<sup>2122</sup> და ა.შ. ამავე დროს, რომანის მთავარი პერსონაჟის ისტორიას მთელი სიუჟეტის მანძილზე მისი მეგობრის - მიზინის თავგადასავალი გასდევს, რომელიც, იმ პერიოდში პოლიტიკური მკვლელობის მსგავსი ანგარიშსწორების მსხვერპლი ხდება და ამგვარად, მისი ფიგურა, ერთგვარად იმ პერიოდის პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა სიმბოლოა.

ენობრივი კუთხით, მწერალი, სუათ ბარანისეული შეფასებით „მეორე ენად ნასწავლ თურქულს“ იყენებს.<sup>23</sup> რომელშიც ხშირად ვხვდებით როგორც დიარბაქირის თურქული დიალექტისთვის დამახასიათებელ სიტყვებს, ისე ქურთიზმებს და უშუალოდ ქურთულ სიტყვებს, ფრაზებს და წინადადებებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ისიც, რომ მწერალი, ზოგიერთ შემთხვევაში ღიად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ესა თუ ის პერსონაჟი თურქულად აქცენტით ან გაჭირვებით საუბრობს.<sup>24</sup> რაც, იმავე სუათ ბარანის მოსაზრებით, ერთგვარი ტრავმის შედეგია, რომელიც არამშობლიურ ენაზე განათლების მიღების და მშობლიური ენის დავიწყების ერთგვარი შედეგია. თუმცა აქ მართებული იქნება აღვნიშნოთ, რომ სუზან სამანჯიმ, ბარანის ქვემოთ ნახსენები დისერტაციის გამოსვლიდან მალევე ქურთულ ენაზე წერა აქტიურად დაიწყო და 2015 წელს ქურთულენოვანი მოთხრობების წიგნი,<sup>25</sup> ხოლო 2019 წელს ქურთულ ენაზე თავისი პირველი რომანი გამოსცა.<sup>26</sup> და ამგვარად, სუათ ბარანს თუკი დავესესხებით, სუზან სამანჯისთვის ქურთულად ანუ მშობლიურ ენაზე წერა, ერთგვარ კათარზისადაც შეიძლება მოვიაზროთ.

---

<sup>19</sup> Suzan Samancı – Korkunun Irmağında, Sel Yayınları, İstanbul, 2011, გვ. 27.

<sup>20</sup> ზოგადად, რომაელი, ქურთულ პოლიტიკურ ჟარგონში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება და ასევე დამკვიდრდა პოპულარულ კულტურაშიც. მას შეიძლება შევხვდეთ როგორც ლიტერატურაში და გაზეთებში, ისე ქურთულ პოპულარულ პოლიტიკურ მუსიკაშიც.

<sup>21</sup> Samancı, 2011, გვ. 30

<sup>22</sup> ჯაშს ანუ ვირებს ეძახდნენ იმ ქურთებს, რომლებიც ერაყში, სადამ ჰუსეინის ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ.

<sup>23</sup> აღნიშნული ნაშრომისთვის იხ: Suat Baran – Dilsel Travmadan Sessizlik Hallerine: Suzan Samancı, Yüksek Lisans Tezi, İstanbul Bilgi Üniversitesi, 2014

<sup>24</sup> მაგ: Samancı, 2011, გვ. 94

<sup>25</sup> [Samancı'an İlk Kürtçe Kitap](#), Rudaw, 23.01.2015

<sup>26</sup> Deniz Mahabad - [Suzan Samancı'nın Kürtçe Romanı: Mîrzayê Reben](#), Artı Gerçek, 12.11.2019

მიუხედავად იმისა, რომ მწერლის პოლიტიკური სიმპათიები ცხადია, სუზან სამანჯისეული დიარბაქირი არ არის მხოლოდ ქურთული ან კულტურულად და რელიგიურად ჰომოგენური დასახლება. თურქების და ქურთების გარდა აქ სხვა ეთნიკური და რელიგიური იდენტობების მქონე პერსონაჟებსაც ვხვდებით, რისი მაგალითიც აქირმანის პერსონაჟია. ასირიული წარმოშობის აქირმანი, მეზობლებთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებს, მაგრამ ამავე დროს მის ცხოვრებაში ქრისტიანობა და ასურული ენა და კულტურა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასევე, ნაწარმოებში ნათლად ჩანს აქირმანის ემოციური დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი და ასევე ქურთულისადმიც, იმდენად, რომ მწერალი სპეციალურად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ აქირმანი თურქულად აქცენტით საუბრობს. რომანი, მთავარი პერსონაჟების მიერ იარაღის ასხმით და თურქეთის შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებით მთავრდება. ხოლო ერთადერთი პერსონაჟი, რომლის, ნაწარმოების ბოლოს მიმდინარე შეტაკებაში დაღუპვა ღიად არის ნახსენები, ქრისტიანია, რომელიც აქირმანის სახლთან ქუჩაში სახარებას ყიდოდა. ამ ტიპის შეტაკებაში ქრისტიანის დაღუპვა კი სიმბოლურად, ოსმალეთის იმპერიის ბოლო პერიოდში, მუსლიმ ხალხებს შორის შეტაკებების შედეგადაც ქრისტიანების ვიქტიმიზაციაზე მინიშნებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

### **თურქული ლიტერატურა და ქურთული თემატიკა, ტაბუირებული საკითხიდან მეინსთრიმამდე**

1990-იანი წლების თურქულენოვანი ქურთული ლიტერატურა, ქურთი და მეტწილად მემარცხენე შეხედულებების მქონე თურქი მწერლების მიერ მანამდე შექმნილი თურქულენოვანი ნაწარმოებების ერთგვარ სულიერ გაგრძელებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული. ქურთული თემატიკა, განსაკუთრებით პოლიტიკურ კონტექსტში, თურქეთში მეტწილად ყოველთვის ტაბუირებული იყო და გამონაკლისი არც ლიტერატურა იყო. ამგვარად, 1990-იან წლებამდე, თურქულ ლიტერატურაში, ძირითადად ქურთებით დასახლებული რეგიონების პრობლემები მეტწილად სოციალური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის კონტექსტში განიხილებოდა. მაგალითად, ბექირ ილდიზი, რომელიც ურფაში დაიბადა, მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად ქურთი არ იყო,<sup>27</sup> თავისი ნაწარმოებების მთავარ მასალად მშობლიურ რეგიონს იყენებდა და მის ნაწარმოებებში, ხშირ შემთხვევაში მართალია ეთნიკურ ფაქტორზე არაერთ ღია მინიშნებას ვხვდებით, მაგრამ პრობლემების მიზეზებად მეტწილად სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები, ფეოდალიზმი, პატრიარქატი, უთანასწორობა და სიღარიბეა მიჩნეული. ბექირ ილდიზის ნაწარმოებებში ვხვდებით გაჭირვების გამო, დანადმული გზებით სირიაში ფარულ გადასულ კონტრაბანდისტ შაჰანს, რომლის ცხედარიც კარგა ხანს დაუმარხავი რჩება, რადგანაც ოჯახი მის ამოცნობას სახელმწიფოსაგან მოსალოდნელი შიშით ვერ ბედავს, ბედრანას, რომელიც დრომოჭმული ტრადიციების მსხვერპლი ხდება და ამავე ტრადიციების სიმბოლოდ ქცეულ რეშო ადასაც. მაგრამ, პრობლემების მკვეთრი, ხშირ შემთხვევაში შოკისმომგვრელი აღწერის მიუხედავად, ეთნიკურ ფაქტორს ბექირ ილდიზის ნაწარმოებებში

<sup>27</sup> Firat Ceweri – Gerçeği Görmemenin Sonucu, Notos Öykü, N11,2008,გვ. 53



მხოლოდ დიალოგებში, დიალექტიკების სახით ვხვდებით და აშკარაა, რომ მეტწილად ნაწარმოებებისთვის რეგიონული ელფერის მისაცემად გამოიყენება.

მსგავს სიტუაციას ვხვდებით, სოციალისტური შეხედულებების მქონე კიდევ ერთი თურქი მწერლის - ქემალ ბილბაშარის ნაწარმოებებშიც. მართალია მისი რომანები „ჯემო“ და „მემო“, იმ პერიოდისათვის, როცა დაიწერნენ ანუ 1960-იანი წლებისთვის, ტაბუდადებულ თემებს - 1938 წლის დერსიმის ამბოხებას,<sup>28</sup> სუნიტურ-ალევიტურ დაპირისპირებას და სახელმწიფოსა და ანატოლიის მოსახლეობას შორის არსებულ ურთიერთობებს ეხებოდა, მაგრამ ამჯერადაც, ეთნიკურ ფაქტორი სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან შედარებით უმნიშვნელო ასპექტად იყო მიჩნეული. თუმცა, განსხვავებით იგივე ბექირ ილდიზისგან, ბილბაშარი, თავის ნაწარმოებებში პერსონაჟების ეთნიკურ თუ რელიგიურ კუთვნილებას ღიად აფიქსირებს.

ამავე პერიოდში, ეროვნული თვითშეგნების მქონე ქურთი მწერლები, მეტწილად ქურთულად წერას ამჯობინებდნენ და შესაბამისად, ბევრი მათგანი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო; ამგვარად, ტაბუირებული თემების თურქულ ლიტერატურაში დამკვიდრება, ფაქტობრივად 1990-იან წლებამდე, მეტწილად კვლავ, როგორც წესი მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების მქონე თურქი მწერლების ძალისხმევით მოხერხდა.

ქურთული და ქურთული თემატიკის მქონე ნაწარმოებების თურქეთის შიგნით ღიად გამოცემა მხოლოდ 1990-იანი წლებიდან იწყება, როდესაც, ქურთისტანის მუშათა პარტიის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამ ამავე დროს, თურქეთში მცხოვრები ქურთების სამოქალაქო მობილიზაციაც გამოიწვია. ამავე პერიოდში ქურთული პოლიტიკური ორგანიზაციები იწყებენ გამომცემლობების დაარსებას, რომელთა მთავარი მიზანიც მართალია ქურთული ლიტერატურის წახალისება იყო, მაგრამ ამავე დროს, ეს გამომცემლები არც თურქულენოვანი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე ამბობდნენ უარს.<sup>29</sup> ამ პროცესმა, გარდა იმისა, რომ ახალი თაობის მწერლების ასპარეზზე გამოსვლას შეუწყო ხელი, ამავე დროს, უკვე მოქმედი, თურქულენოვანი ავტორების ნაწარმოებების ახლებურ ინტერპრეტაციებს შეუწყო ხელი, მაგალითად აჰმედ არიფის ან ჯემალ სურეიას, ეროვნებით ქურთი თურქულენოვანი ავტორების ნაწარმოებები, სწორედ ამავე პერიოდში, ახლებურად იქნა ინტერპრეტირებული და გამოქვეყნდა მათი ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც მანამდე მხოლოდ პირად არქივებში ან ნახევრად ლეგალურ გამოცემებში თუ შეგვხვდებოდა. მაგალითად, ჯემალ სურეიას, რომელიც დერსიმის პროვინციიდან 1938 წლის მოვლენების შემდეგ დეპორტირებული ქურთული ოჯახიდან იყო, სრული ბიოგრაფია და დერსიმიდან გადასახლების შესახებ დაწერილი ლექსი, მხოლოდ 1990-იან წლებში გამოქვეყნდა.<sup>30</sup>

<sup>28</sup> 1937-1938 წლებში, დერსიმის რეგიონში, რომელიც დღევანდელ თუნჯელის პროვინციას და მოსაზღვრე პროვინციების რამდენიმე რაიონს მოიცავდა, თურქეთის ხელისუფლებამ სამხედრო ოპერაცია ჩაატარა ამბოხების, რომლის მასშტაბებიც დღემდე საკამათოა, ჩასახშობად, შედეგად დაიღუპა ათასობით ადამიანი, ხოლო რამდენიმე ათეული ათასი თურქეთის სხვა პროვინციებში გადასახლეს.

<sup>29</sup> Clemence Scalbert-Yücel - Emergence and Equivocal Autonomization of a Kurdish literary field in Turkey, Nationalities Papers Vol. 40, No. 3, May 2012, გვ. 363-364

<sup>30</sup> იხ: Oral Çalışlar - [Cemal Süreya'nın hayatı Dersim'e dahil](#), Radikal, 01.12.2009

ამავე დროს, 1990-იან წლებში, თურქეთის ქურთებით დასახლებულ რეგიონებში მიმდინარე შეიარაღებულმა მოქმედებებმა და მათმა შედეგებმა, ქურთების მთელი თაობების ფსიქიკაზე უდიდესი გავლენა მოახდინა და ამგვარად, როგორც ახალი თაობის ქურთ ლიტერატორებში, ისე უკვე დამკვიდრებულ ავტორებს შორის, ომის თემამ და საკუთარი ეთნიკური იდენტობის გამო განცდილმა ტრავმამ, ახალი თემატიკის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. ხოლო ქურთული საკითხის რეგიონულიდან ქვეყნის მასშტაბით აქტუალურ საკითხად ტრანსფორმაციამ, ამავე დროს შესაძლებელი გახდა ქურთული თემატიკის მქონე ნაწარმოებების გამოცემა იმ გამომცემლობების მიერ, რომელთაც წვდომა სრულიად თურქეთის ბაზარზე ჰქონდათ, ამგვარად, ქურთი მწერლების ახალმა თაობამ, საკუთარი იდენტობით თურქ მკითხველთან მიღწევის შესაძლებლობა მოიპოვა. ქურთული საკითხი ქურთულთან ერთად, თურქული ლიტერატურის რეალობადაც იქცა.

სწორედ 1990-იანი წლების შედეგებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ისეთი ქურთი ავტორები, როგორებიც არიან ქემალ ვაროლი, ბეჟან მათური, სუზან სამანჯი, შეიხმუს დიქენი და სხვები. ხოლო უშუალოდ თურქი მწერლების შემოქმედებაში, სამხედრო და თურქულ-ნაციონალისტური მოტივების ნაწარმოებებთან ერთად, გამოჩნდა ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც ქურთული საკითხის სხვაგვარად აღქმას ცდილობდა; ბილგესუ ერენუსის დრამამ „მოწოდება“, რომელიც 1938 წლის დერსიმის ამბოხს ეხებოდა ან მეჰმეთ ეროღლუს რომანმა „როჟინი“, ქურთული საკითხი, თურქულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ თემადაც იქცა.

2013-2015 წლებში მიმდინარე სამშვიდობო პროცესმა და მის ფარგლებში, ქურთულენოვანი ლიტერატურა და ტელემაუწყებლობა თურქეთის შიგნით სწრაფად განვითარდა და ბევრი თვლიდა, რომ ომის და ეთნიკური საკითხების თემა, ქურთი მწერლების შემოქმედებაში თანდათან უკანა პლანზე გადაიწევდა. თუმცა 2015 წელს, სამშვიდობო პროცესის დასრულებასთან და ქურთული ქალაქების საომარი მოქმედებების შედეგად განადგურებასთან ერთად, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ მოსახლეობაზე, ჩანს რომ ომის და გადასახლების თემა, ქურთულ ლიტერატურაში კვლავ დიდ ხანს დარჩება მნიშვნელოვან საკითხად.

ხოლო თურქეთის ხელისუფლების მიერ 2016 წლის 20 ივლისს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შემდეგ, ქურთული კულტურული და ლიტერატურული ორგანიზაციების დახურვა და ქონების კონფისკაცია,<sup>31</sup> გვაჩვენებს, რომ, 1990-იან წლებთან შედარებით შერბილებული პოლიტიკის მიუხედავად, ქურთი მწერლების და ქურთული კულტურის პოზიცია, დღევანდელ თურქეთში, კვლავ სტანდარტულ ეროვნულ ლიტერატურაზე მეტად, ეთნიკური იდენტობის გამოხატვის საშუალებაა.

---

<sup>31</sup> [15 bin 653 kişiye kamudan ihraç](#), Milliyet, 23.11.2016